# ხელშეკრულება N145

ქ.ხაშური 26 დეკემბერი 2019 წელი

ერთი მხრივ ააიპ **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის **გიორგი ბოლოკაძის** სახით, მეორე მხრივ **სპს დათუნაშვილი თოლია, წარმოდგენილი დირექტორის მაია დათუნაშვილის სახით** (შემდგომში მიმწოდებელი), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს$^1$'' ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ტკბილეულის სასაჩუქრე ნაკრების შეძენა, სოციალურ სახლებში მცხოვრები ბავშვებისათვის და დედათა და ბავშვთა სახლებში მცხოვრები ბავშვებისთვის გადასაცემად;

| | დასახელება | CPV | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამური ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტკბილეულის სასაჩუქრე პაკეტი | 15840000 | ცალი | 6 | 64.00 | 384.00 |
| | | | | | | სულ:384.00 |

1. ხელშეკრულების ღირებულება

   2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 384.00 (სამას ოთხმოცდაოთხი) ლარს.

2. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

   2.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში;

   2.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/სააქონლო ზედნადების საფუძველზე

   2.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს, ორგანიზაციის სუბსიდიებიდან;

3. მიღება-ჩაბარების წესი

   3.1 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ხაშურის კულტურის ცენტრების გაერთიანების დირექტორი გიორგი ბოლოკაძე

   3.2 მომსახურება ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების ვადა და მიწოდების ადგილი

   5.1 მომსახურების მიწოდების ადგილია ხაშური

   5.2 მომსახურების მიწოდება განხორციელედება 2019 წლის 26 დეკემბერს;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები:

   6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება

   6.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში.

   6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებიტ გათვალისწინებულ ვადებში.

   6.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულებების ღირებულების 0.02%ის ოდენობით

7.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ხელშეკრულების შესრულებისაგან

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე

8.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა, დაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია, ხელშეკრულების ღირებულების 10%ზე მეტი ოდენობით

9.1 ფორს-მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობისთ გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუსრულებლობის შესახებ

9.2 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდშ წარმოშობილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

10 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ვადაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრამდე;

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| **ხაშურის კულტურის და ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება** | **სპს დათუნაშვილი-თოლია** |
| ხაშური, რუსთაველის მე-2 ე შესახვევი | ხაშური, რუსთაველის 22 |
| საიდენტიფიკაციო კოდი 243918070 | საიდენტეიფიკაციო კოდი 243886586 |
| ბანკის კოდიTRESGE22 | ბანკის კოდი BAGAGE22 |
| ა/ა GE24NB0330100200165022 | ა/ა GE546BG0000000144170500 |
| United Centers of Cultural and Children and Adults Creative Development — Digitally signed by United Centers of Cultural and Children and Adults Creative Development Date: 2019.12.26 15:52:31 +04'00' | Mariam Datunashvili — Подписано цифровой подписью: Mariam Datunashvili Дата: 2019.12.26 16:26:29 +04'00' |
| გაერთიანების დირექტორი | სპს დათუნაშვილი თოლია |
| გიორგი ბოლოკაძე | მაია დათუნაშვილი |